# მედინსერვი

№ 1-01/43
18 მარტი 2020წ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრს
ქ-ნ ეკ. ტიკარაძეს

ასლი: საქართველოს ბიზნესომბუდსმენს
ბ-ნ მ. დაუშვილს

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
15 05
030168886451319

ქალბატონო ეკატერინე,

მიუხედავად ქვეყანაში შექმნილი სიტუაციისა რაც განპირობებულია კორონავირუსის გავრცელებით და საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული შესაბამისი აუცილებელი ღონისძიებებით, არის ზოგიერთი საკითხი, რომელიც სასწრაფოდ ითხოვს გადაწყვეტას.

კერძოდ, ჩვენი კომპანია 20 წელზე მეტია წარმოადგენს გერმანული ფარმაცევტული კომპანია „ბიონორიკა"-ს ოფიციალურ დისტრიბუტორს სამხრეთკავკასიის ქვეყნებში (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი). შესაბამისად მეზობელი ქვეყნების ბაზარზე „ბიონორიკა"-ს პროდუქციის მოწოდება ჩვენი კომპანიის მეშვეობით ხორციელდება, რაც რა თქმა უნდა არამარტო პრესტიჟულია ჩვენთვის, არამედ დამატებითი სავალუტო შემოსავალიც.

სამწუხაროდ, უკვე მეორე დღეა ვერ მოგვიხერხებია აზერბაიჯანელი პარტნიორისათვის ჩვენი ლოჯისტიკური კომპანია შპს „M-სერვის"-ის მეშვეობით ტვირთის მიწოდება (წასასვლელად გამზადებული მანქანა დალუქული ტვირთით დგას საბაჟო ტერმინალზე).

ცნობისათვის, „ბიონორიკა"-ს პროდუქცია წარმოადგენს ფიტოპრეპარატებს, რომელიც აფთიაქებში იყიდება თავისუფლად, ექიმის რეცეპტის გარეშე. გასაგზავნად გამზადებულია 56500 აშშ დოლარის საქონელი, ხოლო ადგილზე გაგვაჩნია 300000 აშშ დოლარზე მეტი მარაგი და დღე-დღეზე ველოდებით 185000 აშშ დოლარის პროდუქციას.

ასევეა, ავსტრიული კომპანია „მონტავიტი"-ს პროდუქციის „კატეჯელი" შემთხვევაშიც (გამოიყენება კათეტერიზაციისას ინსტრუმენტებზე წასასმელად), რომლის დისტიბუციაზეც გარდა სამხრეთკავკასიის ქვეყნებისა წლევანდელი წლიდან მწარმოებელმა უზბეკეთის ბაზარიც დაგვიმატა (წინა თვეში გადავტვირთეთ 8000 ცალი). ამჟამად „ბიონორიკა"-ს ტვირთთან ერთად ეს პროდუქციაც 10000 ცალი ოდენობით (19000 აშშ დოლარის ღირებულების) იგზავნება აზერბაიჯანში, აღნიშული პროდუქციის რაოდენობა ამჟამად 220000 ცალზე მეტი გაგვაჩნია.

ნაბეჭდი ნაზლეგალიზება
კომპანია „მედინსერვი"
0102, ქ. თბილისი, დგებუნაძის ქ. № 1

ტელ: (995 32) 295 15 53
ტელ/ფაქსი: (995 32) 295 16 00
ელ.ფოსტა: medinserv@medinserv.ge

არც ერთი და არც მეორე ფირმის პროდუქცია არ ითვლება არც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პროდუქტად და არც რაიმე განსაკუთრებული დაავადების საწინააღმდეგო პრეპარატად.

თუ ზემოაღნიშნული საკითხი დადებითად არ გადაწყდება, ჩვენს მეზობლებს ექნებათ საბაბი მიმართონ მწარმოებელს და პირდაპირ მიიღონ პროდუქცია, რაც გამოუსწორებელ დანაკარგამდე მიიყვანს ჩვენს კომპანიას. კონკრეტულად, ამჟამად მოგვიწევს გასაგზავნი პროდუქციის ღირებულების უკან დაბრუნება და ასევე ყოველწლიურად დაახლოებით 1,5 მლნ აშშ დოლარის ბრუნვის დანაკარგი გვექნება.

იმედი გვაქვს თქვენი თანადგომის.

პატივისცემით,

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

პროფ. გურამ ჯავახაძე